პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ხუთშაბათი
11
მარტი
№ 58
(16488)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 თებერვლიდან

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მშვიდობისა და სოციალიზმისათვის

XXV ყრილობა ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. მისი მომზადებისადმი, მისი მიმდინარეობისადმი მიპყრობილი იყო ყველა კონტინენტის ხალხთა ყურადღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნნგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, რომელმაც გაამდიდრა მეცნიერული კომუნიზმის თეორია და პრაქტიკა, დასახა ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი პროგრესის გზები ხანგრძლივი პერსპექტივისათვის და წამოაყენა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, — მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ განხილვას, ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განცხადებას „თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!“, საზღვარგარეთელ სტუმართა მისასალმებელ გამოსვლებს განმარტავენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, უფართოესი საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები. ამით გამოიხატა ის უდავო ფაქტი, რომ ამჟამად სოციალიზმი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოს ახალ მილიონობით ადამიანის აზრებსა და გრძნობებზე, რომ სულ უფრო ძლიერდება, სულ უფრო ღრმავდება სოციალისტური ქვეყნების გავლენა მსოფლიო ამბების მსვლელობაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პლანეტის ხალხებს მიიჩნიათ ლენინის მიერ გამობრძმედილ პროგრესული ძალების ავანგარდად, რომელიც სათავეში ჩაუდგა თავისი ქვეყნის მუშათა კლასს და მიიყვანა იგი ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლუციამდე, აღაფრთოვანა მშრომელთა მასები მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის, ახლა კი მტკიცედ ხელმძღვანელობს კომუნისტური მომავლის შექმნას. საერთაშორისო მუშათა კლასს, პროგრესულ კაცობრობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიაჩნიათ საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად გამოცდილ და უძლიერეს რაზმად, რომელსაც სხვა მოძმე პარტიებთან აკავშირებს მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურღვევი ერთგულება. მთელ მსოფლიოში საბჭოთა კომუნისტების პარტია ცნობილია როგორც მტკიცე და თანმიმდევრული მებრძოლი ადამიანის ძალმოსილებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ 96 ქვეყნის 103 კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები. ჩვენი პარტიის არც ერთ უწინდელ ყრილობას არ დასწრებია ამდენი მეგობარი დელეგაცია. ამით გამოიხატა ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის მსოფლიო ფრონტის ყველა რაზმთან ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის შემდგომი გაფართოება და განტკიცება.

მშვიდობა და სოციალიზმი განუყოფელია. და ამიტომაც იყო, რომ მსოფლიოს მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის საკითხებმა ესოდენ თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში XXV ყრილობისადმი. „... ცენტრალურ კომიტეტს ყველა საფუძველი აქვს მოახსენოს ყრილობას, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა დღეს განსაკუთრებით მტკიცეა, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მეოთხე ათწლეულია მშვიდობის პირობებში ვცხოვრობთ, განმტკიცდა სოციალიზმის პოზიციები. დაძაბულობის შენელება წამყვანი ტენდენცია გახდა. ეს პარტიის საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი შედეგი. ასეთი შედეგით შეუძლიათ ამაყობ საბჭოთა ადამიანებმა“.

XXIV და XXV ყრილობებს შორის განვლილ პერიოდს ახასიათებდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, მათი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება. თვითეული სოციალისტური ერის აყვავებასთან, სოციალისტური სახელმწიფოების სუვერენიტეტის განმტკიცებასთან ერთად სულ უფრო მჭიდრო ხდება მათი კავშირურთიერთობა, იქმნება ერთობის სულ უფრო მეტი ელემენტები მათს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გასულ ხუთწლეულში სოციალისტურმა ქვეყნებმა ერთობის, სოლიდარობის, ურთიერთმხარდაჭერის მეოხებით გადაწყვეტეს მთელი რიგი უაღრესად არსებითი ამოცანები საერთაშორისო ასპარეზზე. დამარცხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალიზმის ყველაზე დიდი ცდა — შეიარაღებული ხელით გასწორებოდა სოციალისტურ სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას და ჩაეხშო ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ევროპაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საყოველთაო ცნობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი შესვლის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების დასავლეთი საზღვრების საერთაშორისო მასშტაბით დადასტურების ბაზაზე განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომის წლებში და მის შემდეგ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი შედეგები, შეიქმნა მყარი მშვიდობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის წინამძღვრები, როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. სოციალიზმი მტკიცედ დამკვიდრდა კუბის მიწა-წყალზე, განმტკიცდა კუბის საერთაშორისო მდგომარეობა და ავტორიტეტი.

ამ წარმატებების, მოძმე სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველია, მისი მაცოცხლებელი და წარმმართველი, მაორგანიზებელი ძალაა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიათა ურღვევი საბრძოლო კავშირი, მათი მსოფლმხედველობის ერთიანობა, მიზნების ერთიანობა, მისწრაფების ერთიანობა, სოციალისტური თანამეგობრობის კომპარტიათა ხელმძღვანელების სისტემატური შეხვედრები საშუალებას აძლევენ მათ მოეთათბირონ ერთმანეთს აქტუალურ პრობლემებზე, დასახონ ერთობლივი წინსვლის გზები. მოძმე პარტიათა თანამშრომლობის ერთ-ერთი ნაკადი ფორმაა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი, რომელმაც უკანასკნელ წლებში გამოიჩინა მთელი რიგი საშვიდობო ინიციატივები, რომლებიც საფუძვლად დაედო დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო გადაწყვეტილებებს, ამ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოძმე პარტიათა იდეოლოგიური თანამშრომლობა. სოციალისტური თანამეგობრობა, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში. სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გრძელვადიან პროგრამას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს მოძმე ქვეყნების თანამშრომლობა და ხელს უწყობს მათი სამეურნეო ურთიერთმოქმედების შემდგომ გაღრმავებას, მათი ეკონომიკების ურთიერთგამდიდრებას. გაძლიერებას.

განვლილი პერიოდის მანძილზე, ხაზგასმით აღინიშნა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, გაანალიზდა და განმტკიცდა, ახალი პოლიტიკური შინაარსით გამდიდრდა სსრ კავშირის ურთიერთობა კოლონიური დამოკიდებულებისგან განთავისუფლებულ ქვეყნებთან. ჩვენ ზუსტი და გარკვეული დამოკიდებულება გვაქვს განვითარებულ სახელმწიფოებში მიმდინარე რთულ პროცესებთან. სსრ კავშირი ერევა მათს საშინაო საქმეებში. თვითეული ხალხის იმ უფლებას პატივისცემა, რომ აირჩიოს განვითარების საკუთარი გზა, ლენინური საგარეო პოლიტიკის ურყევი პრინციპია. მაგრამ, ისევე როგორც ყველგან, საბჭოთა კავშირი აქაც მხარს უჭერს პროგრესს, დემოკრატიასა და ეროვნული დამოუკიდებლობის ძალებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს და კვლავაც დაუჭერს მხარს ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან. ჩვენ, თქვა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ისე ვიქცევით, როგორც გვიკარნახებს ჩვენი რევოლუციური სინდისი, ჩვენი კომუნისტური მრწამსი. სსრ კავშირი სავსებით უჭერს მხარს ახალგაზრდა სახელმწიფოების კანონიერ მისწრაფებებს, მათს მტკიცე გადაწყვეტილებას მოლიანად მოიშორონ თავიდან იმპერიალისტური ექსპლოატაცია.

უკანასკნელი ხუთწლეულის მანძილზე საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრების საქმეში, მტკიცე მშვიდობისათვის, ახალი მსოფლიო ომის საშიშროების შენელებისათვის, პერსპექტივაში კი ამ საშიშროების თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც განუხრელად ეყრდნობა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პლატფორმას, თავის XXIV ყრილობაზე წამოაყენა მშვიდობის პროგრამა, რომელმაც დასახა „ცივი ომის“ ლიკვიდაციის რეალური გზა, წამოაყენა მკაფიო ამოცანები სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა საშინაო კონფლიქტაციიდან მშვიდობიან თანამშრომლობაზე გადასვლისათვის ბრძოლაში. საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღება ამ ბოლო წლებში დამაჯერებლად მოწმობს, რომ მტკიცე მშვიდობის მიღწევა სავსებით რეალური ამოცანაა, რომლისთვისაც შეიძლება და საჭიროა ვიმუშაოთ ძალღონის დაუზოგავად.

სრულიად ევროპის თათბირის შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ევროპის მიწაწყალზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. კაპიტალისტური სამყაროს უდიდეს სახელმწიფოსთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის შენელებისათვის, მან ხელი შეუწყო მთელი საერთაშორისო მდგომარეობის ნორმალიზაციას. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო და არის ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველა ქვეყანას მოუწოდებს გაერთიანონ ღონისძიებანი, რათა ბოლო მოუღონ გამალებული შეიარაღების პროცესს, ამასთან მხედველობაში იქონონ ძირითადი მიზანი — საყოველთაო და სრული განიარაღება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებულ წინადადებას — დაიდოს მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომლის ყველა მონაწილე, მათ შორის ატომური სახელმწიფოები, იკისრებდნენ ვალდებულებას თავი შეიკავონ ყოველგვარი სახეობის იარაღის, კერძოდ ატომური იარაღის გამოყენებისაგან ერთმანეთს შორის დავის გადასაჭრელად.

ამასთანავე ყრილობაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან ჩვენს ურთიერთობაში ჯერ კიდევ არის სიძნელენი, რომლებსაც არსებითად საფუძვლად უდევს ის, რომ ამ სახელმწიფოთა გარკვეულ გავლენას წრეებს არა სურთ მთლიანად უკუაგდონ „ცივი ომის“ ფსიქოლოგია. მახმბრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთში აღვივებს მტრულ დამოკიდებულებას სოციალისტური ქვეყნებისადმი. ზოგი ვინმე ცდილობს დაამახინჯოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თვით არსი. მთელ რიგ დიდ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ აშკარად არა სურთ შეწყვეტონ გამალებული შეიარაღება.

ПРАВДА

9 მარტის მოწინავე

უკიდურესი რეაქციის პოზიციებს უკავშირდება ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკა. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს პეკინის ცდები ჩაშალოს დაძაბულობის შენელება, არ დაუშვას ღონისძიებანი განიარაღებისათვის, ჩამოაგდოს უნდობლობა და მტრობა სახელმწიფოთა შორის და, სამოლო სნგარშით, პროვოკაციულად გამოიწვიოს მსოფლიო ომი. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირი, როგორც ეს დაადასტურა სკკპ XXV ყრილობამ, მტკიცედ ადგას ხუთი წლის წინათ განსაზღვრულ კურსს: აწარმოოს პრინციპული, შეურიგებელი ბრძოლა მაოიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს მზად იყოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. უფრო მეტიც, თუ პეკინში დაუბრუნდებიან პოლიტიკას, რომელიც ნამდვილად ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმს, ხელს აიღებენ სოციალისტური ქვეყნებისადმი მტრულ კურსზე და დაადგებიან მათთან თანამშრომლობის გზას, ამას შესაბამისად გამოეხმაურება საბჭოთა მხარე და ამრიგად შეიქმნება შესაძლებლობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კეთილი ურთიერთობის განვითარებისათვის.

სკკპ XXV ყრილობამ ერსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის დასკვნა, რომ ხალხთა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლა მოითხოვს უწინარეს ყოვლისა მთელი რიგი მომწიფებული ამოცანების გადაწყვეტას. ყრილობამ მოუწოდა გაზარდონ მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების აქტიური ერთობლივი წვლილი მშვიდობის განმტკიცებაში; მაღლწიონ მზარდი, მშვიდობისათვის საშიში გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და იარაღის მარაგის შემცირებაზე, განიარაღებაზე გადასვლას; მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მთელი მეცადინეობა მოახმარონ ჯერ კიდევ დარჩენილი ომის კერების ლიკვიდაციას და უწინარეს ყოვლისა ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის სამართლიან და მტკიცე მოწესრიგებას; ყველაფერი იღონონ დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმებად მისი ხორცშესხმისათვის; საქმე ისე წარმართონ, რომ უზრუნველყოფილი იყოს უშიშროება აზიაში ამ კონტინენტის სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობის საფუძველზე; შეეცადონ დადონ მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ; ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ კოლონიური ჩაგვრის სისტემის ყველა ნაშთის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის, კოლონიალიზმისა და რასიზმის ყველა კერის სრული ლიკვიდაცია; მიაღწიონ საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციისა და ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლების, ყოველგვარი გამოვლინების არათანასწორუფლებიანობის, დიქტატის, საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაში ექსპლოატაციის აღმოფხვრას.

ეს ზუსტად ჩამოყალიბებული, კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორციელება რეალურად შესაძლებელია, თავიანთი ერთობლივით ორგანული განგრძობა და განვითარებაა პარტიის XXIV ყრილობაზე წამოყენებული მშვიდობის პროგრამისა, რომელიც წარმატებით სრულდება იმ ახალ წინადადებათა სერიაში, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების პროცესის გაფართოება და გაღრმავება. ამ ამოცანათა გადაწყვეტა, დაძაბულობის შენელების შემდგომი მატერიალიზაცია, აღნიშნა XXV ყრილობამ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანი იქნება.

ყრილობამ დაადასტურა, რომ კაცობრიობის სოციალური პროგრესის მთავარი მიმართულება ამჟამად არის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების განვითარება, მათი ძალიერების ზრდა, მათი პოლიტიკის კეთილნაყოფიერი გავლენის გაძლიერება. სოციალიზმის მიმზიდველი ძალა კიდევ უფრო გაიზარდა ახლანდელი ეკონომიური კრიზისის ფონზე, რომელიც მოედო კაპიტალისტურ ქვეყნებს. მიმდინარეობს კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის, კერძოდ ბურჟუაზიული საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება.

მუშათა კლასი ამას პროლეტარულად, მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ გამოსვლების გაძლიერებით უპასუხებს. მშრომელთა საგაფიცვო მოძრაობამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე უმაღლეს დონეს მიაღწია. გაზარდა მუშათა კლასის ძალა და ავტორიტეტი, ამაღლდა მისი, როგორც მშრომელთა ინტერესებისათვის, ერის ნამდვილი ინტერესებისათვის ბრძოლაში ავანგარდის, როლი.

განვლილი ხუთწლეულის ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენა იყო კაპიტალის ქვეყნებში კომუნისტურ პარტიათა გაძლიერების ზრდა. მოცულ თავიანთ საქმიანობაში კომუნისტები ხელმძღვანელობენ რევოლუციის განვითარების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებებით. კომუნისტთა საქმიანობის განუყოფელი თავისებურება იყო და არის ამ კანონზომიერებათა ღრმა გაგება, რომლებიც გამოხატულია მეცნიერულ რევოლუციურ თეორიაში და დადასტურებულია პრაქტიკით, მათზე დაყრდნობა თვითეული ქვეყნის კონკრეტული პირობებისადმი შემოქმედებითს მიდგომასთან შეხამებით და გათვალისწინებით.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობის დელეგატთა სტატყვებში, ბევრი უცხოელი სტუმრის გამოსვლებში აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს. პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე ხელის აღება, აბმობდნენ ორატორები, ნიშნავს იმას, რომ კომპარტიასა და საერთოდ მუშათა მოძრაობას წაართვა მძლავრი და ნაცადი იარაღი. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, ხაზგასმით აღინიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაცვა თვითეული მარქსისტ-ლენინელის წმიდათა წმიდა მოვალეობად მიგვაჩნია.

ყრილობის დელეგატებისათვის, ყველა საბჭოთა მშრომელისათვის დიდად საინტერესო იყო მშვიდობისა და სოციალიზმის პროგრესისათვის მოწინავე მებრძოლთა მრავალმილიონანი არმიის წარმომადგენლების გამოსვლები ყრილობის ტრიბუნიდან და პარტიულ ორგანიზაციებში. ამ გამოსვლებში ნაჩვენებია მზარდი, ფორმებით მრავალფეროვანი და თავისი განვითარებით დაუოკებელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის ბრწყინვალე შთამბეჭდავი სურათი. საზღვარგარეთელმა სტუმრებმა ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოეთის, ჩვენი ხალხის მიმართ. მათ ილაპარაკეს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მისიაზე, რომელმაც ხალხებს გაუკვალა სოციალიზმისა და მშვიდობის გზა, სოლიდარობა გამოუცხადეს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დასახული საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში მოქმედების პროგრამას, აღნიშნეს საბჭოთა სახელმწიფოს როლი ყველა ხალხისათვის მშვიდობის ბრძოლაში, ის, რომ უნდა დაიცვან მარქსიზმ-ლენინიზმს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფუძემდებელი პრინციპების ურღვევი ერთგულება.

მადლობელი ვართ ამ სიტყვებისათვის, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში, და გვინდა ჩვენი მხრივ აღვუთქვათ ყველა ქვეყნის კომუნისტებს, მუშებს, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს: საბჭოთა კავშირის კომუნისტები და მთელი ხალხი კვლავაც თავიანთი ინტერნაციონალური ამოცანების სიმაღლეზე იდგებიან.

ყრილობის შესახებ მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეების გამოხმაურებებს წითელ ზოლად გასდევს სულ უფრო გავრცელებული წარმოდგენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის, როგორც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საიმედო ბურჯის, ხალხის მასების ძირეული ინტერესებისა და მისწრაფებების გამომხატველის შესახებ.

XXV ყრილობაზე შემუშავებულ პოლიტიკურ ხაზს საერთაშორისო საკითხებში მხურვალედ, ერთსულოვნად იწონებს მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც მოლიანად უჭერს მხარს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას. ეს მხარდაჭერა პარტიის პოლიტიკის წარმატების მთავარი გარანტიაა. ყველა საბჭოთა ადამიანის თავდადებული შემოქმედებითი შრომით, კომუნიზმის მშენებლობის გზით მტკიცედ მიმავალი განვითარებული სოციალიზმის სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მთელი ძალიერებით უზრუნველყოფილი იქნება ლენინური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა წარმატებული განხორციელება.

ბაგაფხული გვიხმობს

სათესი აგრეგატები — მინდვრად

მარტის მეორე ხუთდღიურში როგორც კი გამოიდარა, მინდვრად პირველი გავიდნენ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები. ამუშავდნენ სათესი აგრეგატები და შეუდგნენ მარცვლეულის თესვას. იმ დღეს დათესა პირველი ჰექტარები. კოლმეურნეობამ გეგმით უნდა დათესოს 80 ჰექტარი შვრია, მაგრამ, გაეცნენ რა პარტიის XXV ყრილობის მასალებს, ვალდებულება იკისრეს დათესონ 170 ჰექტარი.

ბოდბელმა მხვნელ-მთესველებმა ფართოდ გაანალიზეს სოციალისტური შეჯიბრება და პირობა დადეს შემჭიდროებულ ვადებში მაღალხარისხოვნად დაამთავრონ საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვა. მოწინავე მექანიზატორებს შორის დაწინაურდა ახალგაზრდა მექანიზატორი ნ. ხუნაშვილი.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე მექანიზატორი ნ. ხუნაშვილი; ქვემოთ — შვრიის თესვა სოფელ ბოდბის კოლმეურნეობაში.

ი. დავითაშვილის და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მუდამ პარტიასთან, ხალხთან ერთად!

მიმართვა საქართველოს სსრ ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის ყველა მუშაკისადმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, რომელმაც ჩვენს ხალხს მიზნად დაუსახა ახალი ამოცანები კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე, მოგვიწოდა ჩვენ, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, არ დავიშუროთ ძალღონე, ცოდნა და ტალანტი სამშობლოს წინაშე კეთილმობილური ვალის მოსახდელად.

პარტიის ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებით აღნიშნა შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში და მადლობით მოიხსენია საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების ოსტატთა თავდადება და უანგარო მოღვაწეობა.

ეს ჩვენ ბევრს გვავალებს: პარტიის მზრუნველობას, მის დიდ სიყვარულს და დაფასებას უნდა ვუპასუხოთ კიდევ უფრო თავდადებული შრომით, ჭეშმარიტი შემოქმედებითი მგზნებარებით.

ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, ქართულმა კულტურამ რევოლუციის პირველი დღეებიდანვე უყოყმანოდ დაისახეს თავიანთ უპირველეს მიზნად ბრძოლა ნათელი კომუნისტური იდეალებისათვის. დღ საქართველოს, „რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს“, ახალი ცხოვრების მძლავრმა ტალღამ უშრეტი შემოქმედებითი ენერგია შესძინა, რომელიც სულ უფრო გამოკვეთილად ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, ახალ მშენებლობათა ხარაჩოებზე, საკოლმეურნეო ზვრებსა და პლანტაციებში, მძლავრი ინდუსტრიის მაღაროებში, ფრთიანი მხატვრული სიტყვის, ფუნჯისა და საჭრეთლის, მოგუგუნე სიმღერის აღმფრენაში.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ჭეშმარიტად ხალხური ბუნებას, პარტიულ პოზიციას, მოქალაქეობრივ პათოსს, მაღალ მხატვრულ დონეს განაპირობებს მშობლიური ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი გამოცდილება, საბჭოთა სინამდვილე, ინტერნაციონალური კავშირი მოძმე ხალხთან და თანამედროვე მსოფლიო პროგრესულ კულტურასთან, სიახლის გამახვილებული გრძნობა. ლიტერატურა და ხელოვნება კომუნისტური პარტიის უმძლავრესი იარაღია მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების ურთულეს საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის გმირული შრომის ამსახველი ნაწარმოებების შექმნაში, დიდი სამამულო ომის, ჩვენი ხალხის სახელოვანი წარსულის გმირული მაგალითებით საბჭოთა პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის აღზრდაში, მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებაში.

კანონიერი სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მეცხრე ხუთწლეულის ბოლო სამი წელი, რომელმაც გადაწყვეტა რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი ამოცანების დაძლევის პრობლემა, იყო უმკაცრესი გამოცდის წლები ჩვენთვისაც, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისთვის.

კომუნიზმის დიადი მშენებლობის ბაიკალ-ამურის მmagისტრალის, ენგურჰესისა თუ კამის საავტომობილო ქარხნის მშენებლობების, ქართული ნავთობის სბმაღოების, კოლხეთის დაბლობის ათვისებისა თუ რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების საერთო-სახალხო საქმეში აქტიურად ჩაებნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ახალ, მეათე ხუთწლეულში გვმართებს კიდევ უფრო განვამტკიცოთ შემოქმედებითი მეგობრობა რეს-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პერსპექტივები შთაგვაგონებს და გვავალებს

რესპუბლიკის მრეწველობის მიერ წლევანდელი წლის პირველი ორი თვის გეგმის შესრულების შედეგების მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, სამინისტროთა, უწყებათა და დიდ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ეადაჯორია.

რესპუბლიკის მრეწველობა კარგი მაჩვენებლებით შეეგება სკკპ XXV ყრილობას. ბევრი საწარმოს კოლექტივებმა კომუნისტთა საკავშირო ფორუმს გახსნის დღისათვის შეასრულეს სახელმწიფო დავალებები. ყრილობის გადაწყვეტილებებმა საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, შთაგონა, რომ ახალ წარმატებებს მიიღწიონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. საწარმოებში შემუშავებულია მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, კაპიტალური დაბანდების, ფონდიუკუგების ეფექტიანობის ამაღლების, მომპირნეობისა და აკარგიანობისათვის მოძრაობის განვითარების ღონისძიებები.

ამასთანავე აღინიშნა, რომ არის ისეთი საწარმოებიც, რომლებმაც ვერ შეასრულეს იანვრისა და თებერვლის გეგმები, მათი სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები არ მიმართავენ ჯეროვან ღონისძიებებს ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სამინისტროთა, უწყებათა, მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა, პარტიის ბევრი რაიონული კომიტეტის მდივნებმა ილაპარაკეს ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ ჩამორჩენის დასაძლევად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებით აღინიშნეს, რომ ბერსპექტივები, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებს უსახავს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“, შთაგონებს მათ შემდგომ შრომის მიღწევებს, ავალებს უფ

მუდამ პარტიასთან, ხალხთან ერთად!

(დასასრული).

პუბლიკის მშრომელებთან, უფრო ფართოდ დავნერგოთ ჩვენი ლიტერატურული პრესის, მწერალთა და მხატვართა ორგანიზაციების, თეატრებისა და სამეცნიერო კოლექტივების შეფობა წარმოება-დაწესებულებებისადმი.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დიდ არმიას გამუდმებით ემატება ახალი, ნიჭიერი კადრები. ჩვენ გვმართებს კიდევ უფრო მეტი გულისყურით მოვეპყრათ ახალგაზრდა მწერალთა და ხელოვანთა აღზრდის საქმეს, საშვილიშვილო მეკალთობად მიგვაჩნდეს ხალხის გენიის დაუშრეტელი წყაროს მოგება, რომელიც მუდამ ახალი ცხოველმყოფელი ნაკადით ავსებს მშობლიური კულტურის უხვ მდინარეს.

კომუნისტური პარტია შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობაში ბრძნულად ახამებს სათუთ დამოკიდებულებას და პრინციპულობას, ებრძვის ხელოვნების ნაწარმოებებისადმი გაუბრალოებულ მიდგომას, ჯეროვნად აფასებს ფორმათა მრავალფეროვნებას, სტილურ ინდივიდუალობას.

ქართველი ლიტერატორებისა და ხელოვნების ოსტატთა ვალია გაამართლონ პარტიის ესოდენ დიდი ნდობა და მზრუნველობა.

მუდამ პარტიასთან, მუდამ ხალხთან ერთად — აი, ჩვენი ცხოვრების აზრი, ჩვენი შემოქმედების გზა!

გვახსოვს რა, რომ „ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, კეთილინდებურად მისი იდეური მიმართულებაა“, ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკს:

— პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, კრიტიკოსებს, მთარგმნელებს, — ყველას, ვისაც ქართველი საბჭოთა ლიტერატორის საამაყო სახელი ჰქვია;

— ფერმწერებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს, დეკორატორებს, — ყველას, ვისაც ქართველი საბჭოთა მხატვრის საამაყო სახელი ჰქვია;

— კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს, — ყველას, ვისაც ქართველი საბჭოთა მუსიკოსის საამაყო სახელი ჰქვია;

— დრამისა და ოპერის, ბალეტისა და კინოს, ხალხური ცეკვისა და სიმღერის ოსტატებს, — ყველას, ვისაც ქართველი საბჭოთა მსახიობის საამაყო სახელი ჰქვია;

— თეატრისა და კინოს რეჟისორებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ხელოვნებათმცოდნეებს, — ყველას, ვინც თავდადებით ემსახურება ქართული საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის აღმავლობის საქმეს; — ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, არ დაზოგონ ენერგია ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე თავიანთი კეთილშობილური მისიის შესასრულებლად, რადგანაც ხალხისათვის ბუნებისაგან ნაბოძები სიკეთის დაბრუნება საბჭოთა ხელოვანის ნიჭიერების უმირველესი ნიშან-თვისებაა!

ჩვენ არა ვართ უბრალო ყამთა აღმწერელნი, ჩვენ არა გვაქვს უფლება უკან მივდიოთ მოვლენებს, მშობლიური პარტია გვავალებს აქტიურად ჩავებათ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, წინა პლანზე წამოვწიოთ და ხელი შევუწყოთ ყოველივე პროგრესულს, სრულყოფილად ვასახოთ ჩვენი თანამედროვეობის მძლავრი მაჯისცემა. ჩვენ მთელი არსებით შეგნებული გვაქვს პარტიის ეს დავალება და პირნათლადაც შევასრულებთ მას!

ჩვენ არა ვართ თანამედროვე ეპოქაში სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის უბრალო მემატიანენი, პარტია გვავალებს ყოველივის ვიყოთ ცეცხლის წინა ხაზზე. ჩვენ მთელი არსებით შეგნებული გვაქვს პარტიის ეს დავალება და პირნათლადაც შევასრულებთ მას!

ჩვენ მთელი არსებით შეგნებული გვაქვს, რომ მხოლოდ შინაარსისა და ფორმის ორგანულ ერთობლიობას შეუძლია აქციოს პოეტური სიტყვა, ფერთა და ბგერათა გამა ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებად, რომელიც მკითხველის, მაყურებლის თუ მსმენელის სულის უსათუოეს სიმებს შეარხევს და ამიტომ რაც უფრო მნიშვნელოვანია თემა, მით უფრო მეტი შემოქმედებითი მგზნებარება გვმართებს, მით უფრო უშურველად უნდა იხარჯებოდეს ხელოვანის ნიჭიერების სალარო.

ჩვენ მოვუწოდებთ ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკს უფრო მეტად, უფრო თავდადებით, მეტი შემოქმედებითი მგზნებარებით ამოუდგეს მხარში ჩვენს ხალხს, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს მეათე ხუთწლედის — მშვიდობის, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის წარმატებით დასაგვირგვინებლად!

მუდამ პარტიასთან, მუდამ ხალხთან ერთად — აი ჩვენი ცხოვრების აზრი, ჩვენი შემოქმედების გზა!

„...საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს, ტელევიზიის მუშაკები — ყველა, ვისი ნიჭი და პროფესიული უნარი ემსახურება ხალხს, კომუნიზმის საქმეს, დიდ მაღლიერებას იმსახურებს“. სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის** მიერ წარმოთქმული სიტყვები შესანიშნავად ახასიათებენ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა საქმიანობას, რომლებიც მთელ ძალ-ღონეს ახმარენ საბჭოთა ხალხისა და მშობლიური კომუნისტური პარტიის სამსახურს, კომუნისტური მომავლის ადამიანთა აღზრდას.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გასაზღვრეს საბჭოთა ხელოვანის წინაშე დასახული ამოცანები, ძიების სწორი მიმართულებანი, ხაზი გაუსვეს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელსაც ხელოვნება ასრულებს ჩვენს ქვეყანაში.

პარტიის მაღალი შეფასებით შთაგონებულმა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა თბილისში 9 მარტს გამართულ რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების პლენუმებზე, რომლებიც მიეძღვნა სკკპ XXV ყრილობის შედეგებსა და მომავლის ამოცანებს, თქვეს, თუ რა დიდი და საპატიო მოვალეობა აკისრია საზოგადოების წინაშე ხელოვანს, რომელიც, ხელმძღვანელობს რა პარტიულობის, ხალხურობის პრინციპებით, ცდილობს თავის შემოქმედებაში ასახოს თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა.

პლენუმებზე გამოსვლების დროს აღინიშნა, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საბრძოლო ამოცანაა იყვნენ დიდი აღმშენებლობის აქტიური მონაწილენი, იდგნენ ხალხის ბრძოლის ავანგარდში, აღაფრთოვანონ — იგი პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად.

სკკპ XXV ყრილობის შედეგებსა და რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის ამოცანებს მიეძღვნა **საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის** პლენუმი. **მოხსენები გააკეთა რესპუბლიკის მწერალთა კავშირის** გამგეობის პირველმა მდივანმა **ფ.** ბუაჩიძემ.

პლენუმზე გამოვიდნენ სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. დუმბაძე, ეურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი პოეტი ჯ. ჩარკვიანი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი მწერალი გ. ჭელიძე, გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი პოეტი ხ. ბერულავა, მწერალი რ. ჯაფარიძე, ალმანახ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი მწერალი გ. ფანჯიკიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ლომაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, პოეტი გ. კაკაბაძე, პროზაიკოსი ს. ქეთელაური.

დიდი და სერიოზული სკკპ-ბასი გაიმართა **საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმზე.** იგი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მუსიკათმცოდნემ გ. ორჯონიკიძემ.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს კომპოზიტორთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მუსიკათმცოდნე ნ. ჭიაურელის მოხსენება.

პლენუმზე გამოვიდნენ ნბრ კავშირის სახალხო არტისტი ა. მაჭავარიანი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები დ. თორაძე, ა. ჩიმაკაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. შავერზაშვილი, ე. კოკლაძე, პროფესორი ბ. ხუციშვა, კომპოზიტორები ვ. აზარაშვილი, შ. დავითაია, მუსიკისმცოდნეები მ. ფიჩხაძე, ვ. მაღრაძე.

გაიმართა საქართველოს მხატვართა კავშირის პლენუმი.

მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს მხატვართა ამოცანნუმი. მოხსენები გააკეთა რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ფ. ბუაჩიძემ.

პლენუმზე გამოვიდნენ სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. თორაძე, ა. ჩიმაკაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. შავერზაშვილი, ე. კოკლაძე, პროფესორი ბ. ხუციშვა, კომპოზიტორები ვ. აზარაშვილი, შ. დავითაია, მუსიკისმცოდნეები მ. ფიჩხაძე, ვ. მაღრაძე.

გაიმართა საქართველოს მხატვართა კავშირის პლენუმი.

მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს მხატვართა ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ.

პლენუმზე გამოვიდნენ სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის თავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე, თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ბერიძე, ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის თავარი რეჟისორი ა. ტოვსტონოგოვი, საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ე. გუგუშვილი, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორი ა. ბაქრაძე, საქართველოს კულტურის მინისტრი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი.

შემოქმედებითი კავშირების პლენუმები კიდევ ერთხელ ადასტურებენ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ურღვევ კავშირს ხალხთან, მათს უსაზღვრო ერთგულებას დიდი ლენინის პარტიის საქმისადმი.

შემოქმედებითი კავშირების პლენუმებზე დიდი აღფრთოვანებით მიღებულია მიმართვა საქართველოს ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის ყველა მუშაკისადმი, რომელიც ქვეყნდება.

(საქინფორმი).

ნიჭი და შთაგონება — ხალხის სამსახურში

საქართველოს შემოქმედებითი კავშირების პლენუმები

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს, ტელევიზიის მუშაკები — ყველა, ვისი ნიჭი და პროფესიული უნარი ემსახურება ხალხს, კომუნიზმის საქმეს, დიდ მადლიერებას იმსახურებს“. სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის** მიერ წარმოთქმული სიტყვები შესანიშნავად ახასიათებენ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა საქმიანობას, რომლებიც მთელ ძალ-ღონეს ახმარენ საბჭოთა ხალხისა და მშობლიური კომუნისტური პარტიის სამსახურს, კომუნისტური მომავლის ადამიანთა აღზრდას.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გასაზღვრეს საბჭოთა ხელოვანის წინაშე დასახული ამოცანები, ძიების სწორი მიმართულებანი, ხაზი გაუსვეს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელსაც ხელოვნება ასრულებს ჩვენს ქვეყანაში.

პარტიის მაღალი შეფასებით შთაგონებულმა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა თბილისში 9 მარტს გამართულ რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების პლენუმებზე, რომლებიც მიეძღვნა სკკპ XXV ყრილობის შედეგებსა და მომავლის ამოცანებს, თქვეს, თუ რა დიდი და საპატიო მოვალეობა აკისრია საზოგადოების წინაშე ხელოვანს, რომელიც, ხელმძღვანელობს რა პარტიულობის, ხალხურობის პრინციპებით, ცდილობს თავის შემოქმედებაში ასახოს თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა.

პლენუმებზე გამოსვლების დროს აღინიშნა, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საბრძოლო ამოცანაა იყვნენ დიდი აღმშენებლობის აქტიური მონაწილენი, იდგნენ ხალხის ბრძოლის ავანგარდში, აღაფრთოვანონ — იგი პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად.

სკკპ XXV ყრილობის შედეგებსა და რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის ამოცანებს მიეძღვნა **საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის** პლენუმი. **მოხსენები გააკეთა** საქართველოს **სსრ** მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ლომაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, პოეტი გ. კაკაბაძე, პროზაიკოსი ს. ქეთელაური.

დიდი და სერიოზული სკკპ-ბასი გაიმართა **საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმზე.** იგი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მუსიკათმცოდნემ გ. ორჯონიკიძემ.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს კომპოზიტორთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მუსიკათმცოდნე ნ. ჭიაურელის მოხსენება.

პლენუმზე გამოვიდნენ ნბრ კავშირის სახალხო არტისტი ა. მაჭავარიანი, **საქართველოს სსრ სახალხო** არტისტები დ. თორაძე, ა. ჩიმაკაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. შავერზაშვილი, ე. კოკლაძე, პროფესორი ბ. ხუციშვა, კომპოზიტორები ვ. აზარაშვილი, შ. დავითაია, მუსიკისმცოდნეები მ. ფიჩხაძე, ვ. მაღრაძე.

გაიმართა საქართველოს მხატვართა კავშირის პლენუმი.

მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს მხატვართა ამოცანები“ გააკეთა **საქართველოს სსრ** სახალხო არტისტმა **დ.** ალექსიძემ.

პლენუმზე გამოვიდნენ სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის თავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე, თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირეჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ბერიძე, ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის თავარი რეჟისორი ა. ტოვსტონოგოვი, საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ე. გუგუშვილი, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორი ა. ბაქრაძე, საქართველოს კულტურის მინისტრი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი.

შემოქმედებითი კავშირების პლენუმები კიდევ ერთხელ ადასტურებენ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ურღვევ კავშირს ხალხთან, მათს უსაზღვრო ერთგულებას დიდი ლენინის პარტიის საქმისადმი.

შემოქმედებითი კავშირების პლენუმებზე დიდი აღფრთოვანებით მიღებულია მიმართვა საქართველოს ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის ყველა მუშაკისადმი, რომელიც ქვეყნდება.

(საქინფორმი).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ქსელში დაიწყო სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლა. ქარხნის პარტბიუროს მდივანმა შ. კაკაძემ პროპაგანდისტებთან და კონსულტანტებთან გამართა საუბარი — „როგორ ჩატარონ მეცადინეობა ეკონომიური და პოლიტიკური განათლების ქსელში“.

პროპაგანდისტებმა და კონსულტანტებმა მეცადინეობა დაიწყეს ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენების პირველი ნაწილის შესწავლით, ამ უდიდესი პოლიტიკური და თეორიული მნიშვნელობის დოკუმენტის შინაარსს, მის დებულებებსა და დასკვნებს ქარხნის კომუნისტები წინასწარ გაეცნენ. ამის შესახებ სკკ-ბიასი გაიმართა მიტინგზე, რომელიც მოეწყო პარტიის ყრილობის აღსანიშნავად.

თუ რა უდიდესი ინტერესი გამოიწვია ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ, ეს დამჯერებლად გამოვლინდა მეცადინეობის მიმდინარეობის დროს. პროპაგანდისტებმა ილაპარაკეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ბრძოლაზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

მეცადინეობაზე ქარხნის მოწინავე ხარატმა ვ. დოლიძემ, მლარავმა შ. გალოგრემ და სხვებმა აღნიშნეს, თუ როგორ იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის მეგობრობა სოციალისტურ ქვეყნებთან. აღნიშნეს, რომ მრავალი ჩაის ფაბრიკის მთლიანი აღჭურვილობა მათი ქარხნიდან გაეგზავნა ვიეტნამის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას. ასევე, მომზე ქვეყნებში იგზავნება ბათუმური პროდუქცია.

ყოველი გამოსვლა მიეძღვნა ჩვენი პარტიის აქტუალურ მოღვაწეობას, იმას, რომ წარმატებით ხორციელდება საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინური კურსი; განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ საკითხს, რომ თავდადებული შრომით მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო გაადიდონ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერება.

მ. გორგილაძე.

□

ᲔᲠᲗᲘᲡᲚᲝᲕᲜᲐᲓ, ᲓᲘᲓᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲗ

ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘ. (საკ. კორ.). სკკპ XXV ყრილობის მასალების პროპაგანდამ და ახსნაგანმარტებამ აქ მოიცვა ყველა შახტა, საწარმო, დაწესებულება.

ქალაქის 700-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი ღრმად განუმარტავს მშრომელებს სკკპ XXV ყრილობის მასალებს.

ყრილობის მასალების შესწავლის საკითხებს მიეძღვნა პროპაგანდისტების საქალაქო თათბირსემინარი, პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ზონალური თათბირი, რომელიც სოფელ ორპირში გაიმართა.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეიმუშავა საწარმო-დაწესებულებებისა და მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივი მუშაობის გეგმა, შეარჩია პოლიტიკური მომხსენებლები, ლექტორები, მოაწყო მათი სალექტორუქტაფო თათბირი, გათვალისწინებულია მოსახლეობაში და მშრომელთა კოლექტივებში ლექციების, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა.

ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ყრილობის მუშაობის ამსახველი მასალების გამოფენა. ანალოგიური გამოფენები მოეწყო აგრეთვე საკოლმეურნეო და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში.

ყრილობის მასალების პროპაგანდის საქმე თავიდანვე კარგად წარმართეს ლენინის სახელობის შახტაში. აქ მოწინავე აგიტატორებმა მ. გვენეტაძემ, ვ. ქაჯაიამ, შ. აბულაძემ, გ. ბეღელაძემ მეშახტიებს უკვე გააცნეს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ძირითადი შინაარსი, ესაუბრნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

გათვალისწინებულია ლექტორმომხსენებელთა ბრიგადების გაგზავნა მაღალმთიან სოფლებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

ვ. ᲪᲘᲠᲔᲥᲘᲫᲔ.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲚᲘ ნომერი მკითხველს აცნობს საბჭოთა ხალხის იმ გმირულ შემართებას, რაც სკკპ XXV ყრილობას მოჰყვა.

„ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲝ! ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ“, ამ გამაერთიანებელი სათაურით პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ხუთწლედის მოწინავეთა, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წერილები. აქვე დაბეჭდილი ცნობით, საქართველოს **ᲨᲔᲓᲐᲓᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲔᲓᲠᲝᲜᲘᲡ — ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲒᲐᲛᲐᲛᲓᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲤᲔᲥᲢᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔ ᲛᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲠᲘᲚᲘ — ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲮᲝ-ᲒᲐᲛᲐᲛᲓᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲤᲔᲥᲢᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔ ᲛᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲠᲘᲚᲘ — ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲮᲝ-ᲒᲐᲛᲐᲛᲓᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲤᲔᲥᲢᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔ ᲛᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲠᲘᲚᲘ**, რომელიც მოეწყობა ᲐᲐ. ᲐᲐ. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ დაბადების მე-80 წლისთავი. ამ თარიღს გაზეთი მეექვსე გვერდზე აღნიშნავს.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

10 მარტი



ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲨᲘᲐ ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐᲡ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲐ

ᲔᲜᲒᲣᲠᲯᲘᲡᲘᲡ მშენებლები უდიდესი ინტერესით აღევნებდნენ თვალს სკკპ XXV ყრილობის მუშაობას. ამ დიდ ფორუმზე მათი კოლექტივის წევრიც იყო — ძალოვანი კვანძის სამმართველოს ვერმაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი შუქრი აბაკელია.

მეგობრები მოუთმენლად ელოდნენ შუქრი აბაკელის დაბრუნებას, რომ მისი უშუალო შთაბეჭდილებები მოესმინათ. და ეი ყრილობის დელეგატი მშობლიურ ბრიგადაში დაბრუნდა. მას კარგი მაჩვენებლებით დაჯილდოდნენ თანამოსაქმენი. თუმცა მკაცრი ზამთარია, რამაც ერთგვარი შეფერხება გამოიწვია მშენებლობაზე, ძალოვანი კვანძის სამმართველოს მშენებლებმა ყრილობის გახსნის დღეს, 24 თებერვალს მაინც გაანაღდეს ორი თვის დავალება. თვის ბოლოდან დარჩენილ დღეებში კი გეგმის ზევით ათასობით მანეთის მშენებლობა-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს. განსაკუთრებით ისახელა თავი იმ ბრიგადამ, რომელსაც შუქრი აბაკელია ეთაურობს, მან ორი თვის გეგმის გადამეტებით ათობის გრაკი მეტრი გვირაბი გაიყვანა. ამხანაგებმა მას ეს დიდი წარმატება მოსკოვში ჯერ კიდევ ყრილობის მიმდინარეობის დღეებში აცნობეს.

— ძნელია მოიძებნოს სიტყვა, რომ გადმოგცეთ ის შთაბეჭდილება და სიხარული, რაც ყრილობის მიმდინარეობის დღეებში განვიცადე, — უთხრა შ. აბაკელიამ თანამოსაქმეებს, — ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება ეს შთაბეჭდილება და სიხარული. კრემლის დიდ სასახლეში, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, დაძაბული ყურადღებით ვუსმენდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის ღელში ჩამწვდომ, ღრმაშინაარსიან მოხსენებებს და ყრილობის დელეგატთა გამოსვლებს. დელეგატის ბლოკნოტში ვინიშნავდი ყველა ციფრსა და მნიშვნელოვან წმლიან ადგილებს, რომელიც უშუალოდ ჩვენს მუშაობასთან არის დაკავშირებული, რომ შემდგომ ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში გამომეყენებინა.

ყრილობის დღეებში ეხვდებოდი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებს, გვირაბგამყვანებს, მექანიზატორებს, ესაუბრობდი მათთან ჩვენი მშენებლობის საჭირბოროტო საკითხებზე, ვუზიარებდი ჩემი მუშაობის გამოცდილებას და მათგანაც ბევრი რამ ახალი შეგიძინე.

ყრილობამ დასახა ახალი ხუთწლედის დიდი, გრანდიოზული პროგრამა, მიიღო წინსვლისა და ახალი გამარჯვებების, მშვიდობიანი შრომის გადაწყვეტილებანი, რომელსაც სხვა დელეგატებთან ერთად მეც ერთსულოვნად მივეცი ხმა. მეათე ხუთწლედის ამოცანები წარმატებით რომ შესრულოთ, საჭიროა თვითეულმა ჩვენგანმა შემოქმედებითად იშრომოს, და, რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია...

ასე დაამთავრა თავისი საუბარი შუქრი აბაკელიამ და ყველამ, ვინც მას უსმენდა, პირობა დასდო, იმუშაონ დამკვრელურად, ძალოვანი კვანძის სამმართველოს მუშაკებმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს.

მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა წლევანდელი წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲜ: სკკპ XXV ყრილობის **დელეგატი** შ. აბაკელია (მარჯვნივ) ესაუბრება **გვირაბგამყვანებს** ი. ლატარიას და **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს** ვ. აბესაძეს.

გ. ᲧᲣᲨᲣᲜᲘᲐᲡ ფოტო.

ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲜᲘᲭᲘ ᲓᲐ ᲗᲨᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐ — ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

საქართველოს შემოქმედებითი კავშირების პლენუმები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲠᲗᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. განმუხურის კოლმეურნეობა მეირეძალოვანი, არარენტაბელური იყო. ამ მიზეზე საუკეთესოდ ხარობს თხილის კულტურა, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში.

ახლახან განმუხურის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა მეთხილეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი შ. ანჩაბაძე). რაიონში ეს ერთადერთი მეურნეობაა, სადაც ძირითადად გაშენდება თხილის კულტურა.

გ. ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐ.

ᲖᲔᲛᲘᲠᲘ ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲐᲓᲘᲑᲔᲜᲘ. ბოლაჯაურის სასოფლო ბიბლიოთეკამ მოაწყო ზეპირი ჟურნალი „ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის მომავალია“.

საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა ჯგუფმა და საშუალო სკო

საპატიო წოდებების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 20 თებერვლის მრძანებულებით სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, მიენიჭათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომისა:

ამირანაშვილს თამარ ვასილის ასულს — ზესტაფონის სარაიონთაშორისო მეცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროს აგრონომ-ინსპექტორს.

ახალაძეს მერი ამბროსის ასულს — ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

ბაბუევას როზა ვართანის ასულს — წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს.

ბიწაძეს გულნარა კარპოზის ასულს — ქიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, მთავარ აგრონომს.

ბერიძიშვილს მარიამ ივანეს ასულს — ქარელის რაიონის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის აგრონომ-ინსპექტორს.

ბეტრიშვილს ელენე გიორგის ასულს — თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

გურაშვილს ირა ილიას ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს აგრონომს.

გაბუნიას ბარბარე ანდრიას ასულს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტს.

გელეიშვილს აზა დიომიდეს ასულს — მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომს.

გეგეჭკორს ვერა ბესარიონის ასულს — გეგეჭკორის რაიონის სათაო პარკსაშრობის უბნის აგრონომს.

დემეტრაშვილს ნადეჟდა მალაქიას ასულს — პენსიონერს.

დასუნდარიძეს თინა გერასიმეს ასულს — მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების გამგეს.

დათაშვილს ევგენია ზურაბის ასულს — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს.

ეთერიას ალექსანდრა პავლეს ასულს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

თუმასიანს მარიამ არტაშის ასულს — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის უფროს ეკონომისტ-ინსპექტორს.

კალანდაძე ეთერ ვარლამის ასულს — საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროს აგრონომს.

კახაიას ჟუჟანა ევგენის ასულს — გაგრის რაიონის სათაო პარკსაშრობის უბნის აგრონომს.

კოპალეიშვილს ნინო ალექსანდრეს ასულს — მახარაძის რაიონის ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის აგრონომს,

ლიპარტელიანს მედეა პლატონის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსს.

ლაგვილავას ლუდმილა ფილიპეს ასულს — ონამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

დემეტრაშვილს ნადეჟდა მალაქიას ასულს — პენსიონერს.

დასუნდარიძეს თინა გერასიმეს ასულს — მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების გამგეს.

ვალიშვილს ქეთევან სოლომონის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ვარამაშვილს მაყვალა ივანეს ასულს — საქართველოს სანაშენო გაერთიანების სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და რეალიზაციის სამმართველოს უფროს ზოოტექნიკოსს.

ეთერიას ალექსანდრა პავლეს ასულს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

თუმასიანს მარიამ არტაშის ასულს — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის უფროს ეკონომისტ-ინსპექტორს.

ალანდაძე ეთერ ვარლამის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროს აგრონომს.

ბაბუევას როზა ვართანის ასულს — წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს.

ბიწაძეს გულნარა კარპოზის ასულს — ქიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, მთავარ აგრონომს.

ბერიძიშვილს მარიამ ივანეს ასულს — ქარელის რაიონის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის აგრონომ-ინსპექტორს.

ბეტრიშვილს ელენე გიორგის ასულს — თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

ჭაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომს.

ჯაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომ-ენტომოლოგს.

ჭაველიშვილს მარგო თომას ასულს — სიღნაღის რაიონის წნორის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის აგრონომ-ენტომოლოგს.

ჭიჭინაძე ელენე ვასილის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოტექნიკოსს.

ჯაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომს.

ჯაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომ-ენტომოლოგს.

ბერიძიშვილს მარიამ ივანეს ასულს — ქარელის რაიონის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის აგრონომ-ინსპექტორს.

ბეტრიშვილს ელენე გიორგის ასულს — თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

ჭაველიშვილს მარგო თომას ასულს — სიღნაღის რაიონის წნორის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის აგრონომ-ენტომოლოგს.

ჭიჭინაძე ელენე ვასილის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოტექნიკოსს.

ჯაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომს.

ჯაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომ-ენტომოლოგს.

ჯაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომ-ენტომოლოგს.

ჭაველიშვილს მარგო თომას ასულს — სიღნაღის რაიონის წნორის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის აგრონომ-ენტომოლოგს.

ჭიჭინაძე ელენე ვასილის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოტექნიკოსს.

ჯაფარიძეს ქეთო ივანეს ასულს — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომ

ნახეთ კომეტა!

აბასთუმნის ობსერვატორია უთვალთვალებს

ამ დღეებში, გათენების წინ, ცის აღმოსავლეთ მხარეზე, ჰორიზონტის ახლოს, კარგად მოჩანს ბრწყინვალე კომეტა, რომელიც გასული წლის ოქტომბერში აღმოაჩინა დანიელმა ასტრონომმა რიჰარდ ვესტმა, როცა იგი გამოჩნდა სამხრეთის ცაზე. მხოლოდ ახლა, მას შემდეგ, რაც კომეტამ 22 თებერვალს გაიარა პერიჰელიუმი, მზიდან 30 მილიონი კილომეტის მანძილზე, მან გადმოინაცვლა ცის ჩრდილო ნახევარსფეროზე.

6 მარტს, გათენებისას აბასთუმნის ობსერვატორიაში პირველად დავინახეთ კომეტის კაშკაშა კუდი, 7 მარტს — თვით კომეტაც, ოღონდ ცოტა ხნით. მხოლოდ 8 მარტს მოხერხდა მნიშვნელოვანი დაკვირვებითი მასალის მიღება. მიღებულია როგორც პირდაპირი ფოტოგრამფიული გამოსახახები, ასევე სპექტრული და ელექტროფოტოლარიმეტრიული. წინასწარი ანალიზი გვარწმუნებს, რომ კომეტის თავის შედგენილობაში წარმოდგენილია ციანი; ამასთანავე მისი ნივთიერება დიდი რაოდენობით შეიცავს მტვრისებრ ნაწილაკებს.

კომეტა ჩანს დილის 5 საათიდან, აღმოსავლეთით, პეგასის თანავარსკვლავედში. კომეტის თავის ბრწყინვალება უტოლდება მე-2 ვარსკვლავიერი სიდიდის მნათობის სიკაშკაშეს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კომეტის მარადსებურად გაშლილი კუდი, რომელიც 25 გრადუსამდეა გადაჭიმული ცაზე. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ კუდი სამ ნაწილად იყოფა ბოლოში.

კომეტამ უკვე დაიწყო დაშორება მზიდან და ჩვენგან, ამასთანავე შესუსტებაც, მაგრ კუდიც დაუმოკლდება. დაინტერესებული მკითხველი უნდა ემზერებოდეს შეხედოს ამ იშვიათ მომხიბვლელ სანახაობას.

ვ. ჯაფიაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობაში, დოცენტი.

□

ბამის მშენებელთა სტენდი

ონი (საკ. კორ.). სორელ ახალგაზრდებს სისტემატური მომზადება აქვთ ბამის მშენებლებთან. ამ დღეებში სამუალო სკოლის შენობაში მოეწყო სტენდი, რომელზეც გამოფენილია მაგისტრალის ქართველი მშენებლების ფოტოსურათები, აგრეთვე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წარკვეევებისა და წერილების ციკლი. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის რუკა.

ამ ცოტა ხნის წინათ სორელმა პიონერებმა წერილი და მხატვრული ლიტერატურა გაუგზავნეს ნია-გრუზინსკაიას ახალგაზრდა მოქალაქეებს.

მომხმარებელთა დაკვეთით

მახარაძე (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ გახსნა დაკვეთების მიღებისა და გაცემის სამი კომპლექსური პუნქტი, რომლებიც დაკვეთებს იღებენ სხვადასხვა მოდელის ფეხსაცმელზე, ტრიკოტაჟის ქსოვილებზე, მონიკელებულ ნაკეთობებზე და სხვა ჟირველი მოთხოვნილების საქონელზე. დამკვეთ პუნქტებს უკვე ბევრი კლიენტი პყავთ.





ორიგინალური პროექტები

ამჟამად რესპუბლიკის კურორტების ორიგინალურ პროექტებზე მუშაობენ „საკურორტპროექტის“ ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების სპეციალისტები.

არქიტექტორმა ჯ. კორკოტაშვილმა და კონსტრუქტორმა პ. ბარდინმა შექმნეს ცამეტსართულიანი დასასვენებელი სახლის პროექტი, რომლის მშენებლობაც მახინჯაურში მომავალ წელს დაიწყება. „ნარინჯში“ (ასე დაერქმევა დასასვენებელ სახლს) ერთდროულად 500 კაცი დაისვენებს.

თვალწარმტაცი მაღალმთიან კურორტ ჯავაში ახლო მომავალში აშენდება სანატორიული კომპლექსი „ლიახვი“, რომლის პროექტი არქიტექტორებმა უ. ტამარაზოვამ და გ. გელაშვილმა შექმნეს.

სურათებზე: მარჯვნივ ზემოთ — მახინჯაურის დასასვენებელი სახლის „ნარინჯის“ მაკეტი; მარცხნივ — I სახელოსნოს გამგე ჯ. კორკოტაშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი ე. ნაზაროვა და პროექტის მთავარი კონსტრუქტორი პ. ბარდინი პროექტზე მუშაობის დროს; ასეთი იქნება სანატორიუმი „ლიახვი“ ჯავაში (ქვემოთ).

ბ. კიკვაძისა და შ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვუპასუხებთ მკითხველს

გაგრატ მეოთხის ბონეტა

რედაქციაში წერილი მოვიდა — 4 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი იყო წერილი „არქეოლოგები ანგარიშს აბარებენ“, რომელშიც საუბარია ბაგრატ IV-ის ვერცხლის მონეტაზე, რომელიც აღმოჩენილ იქნა სოფელ შინაქოში. გთხოვთ უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ, როდის და როგორ აღმოჩნდა ეს მონეტები მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმებში“ — გვწერდა საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის მცხოვრები ხ. ზვიადაური. ვბეჭდავთ პასუხს.

შარშან ივლისში აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების სამეცნიერო ექსპედიცია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რუსუდან დოლაბერიძის ხელმძღვანელობით დაზვერვის არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა მთათუშეთში, სოფელ შინაქოში, რომელიც ზღვის დონიდან 2.000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ექსპედიციამ გათხარა ნასახლარი ბორცვი, რომლის სამხრეთ დასავლეთ ფერდობზე აღმოჩნდა ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ) ვერცხლის მონეტა, რაც ქართული ნუმიზმატიკის მხიშვნელოვანი შეძენაა.

ბაგრატ IV-ის მონეტა იმ სამონეტო ტიპს მიეკუთვნება, რომელიც საქართველოში X საუკუნის ბოლოდან XII საუკუნის დასაწყისამდე, საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული დაახლოების პერიოდში იჭრებოდა. ამ სერიის მონეტებზე საქართველოს მეფეთა სახელთან ერთად აღნიშნულია აგრეთვე მათი ბიზანტიური ტიტული.

შინაქოში აღმოჩენილი ბაგრატ IV-ის მონეტა ვერცხლისაა, იგი გაცვეთილია და კიდეებთან სამ ადგილას გაბრეტილი. მონეტის შუაბზე ასომთავრული წარწერაა — „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“, ზურგზე კი — ვლახერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება და მის ორივე მხარეზე ბერძნული წარწერაა — „წმინდა ღვთისმშობელი“. მონეტა მოჭრილია 1040-1060 წლებში, იმ პერიოდში, როდესაც ბაგრატ IV ნოველისიმოსის ტიტული ჰქონდა.

ამ სერიის მონეტები საერთოდ დიდი იშვიათობაა. შინაქოს აღმოჩენამდე ბაგრატ IV-ის მონეტათაგან ერთი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია დაცული, მეორე კი ლენინგრადში — სახელმწიფო ერმიტაჟში. მოსკოვში დაცული ეგზემპლარი მე-19 საუკუნეში საქართველოში აღმოჩენილი მონეტების განძის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ პ. ზუბოვის კოლექციაში მოხვედრილა, იქიდან კი მოსკოვის სიძველეთსაცავში. მეორე, ერმიტაჟის ცალი, მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ორიეატალისტ გენერალ ი. ბარტოლომეის ბიბლიოთეკაში შეუძენია.

ცნობილი ქართველი მეცნიერი-ნუმიზმატი, პროფესორი დ. კაპანაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა XI-XII საუკუნეების ამ ტიპის მონეტებს, მას აწუხებდა მათი საერთო სიმეტრია, მუდამ ცდილობდა მათს მოგზებას და აღმოჩენას. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „ქართული ნუმიზმატიკაში“ ღვაწლმოსილი მეცნიერი 1969 წელს წერდა: „უნდა ვიეარაუდოთ, რომ მსგავსი მონეტები სადღაც მიჩქმალულ მდგომარეობაშია, მაგრამ პატრონს წარმოდგენაც არა აქვს, რამდენად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ამ ცივ ფირფიტებს და რა ხალისით შეეძინდა მათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელსაც ამ მიზნისათვის გადადებული აქვს დიდი თანხა“. ასეთი ინტერესით ელოდა მეცნიერი ამ ტიპის მონეტების აღმოჩენას და რა იცოდა, თუ ამ სტრიქონების დაწერიდან შვიდი წლის შემდეგ საქართველოს მაღალმთიან სოფელში ერთი ასეთი მონეტა აღმოჩდებოდა.

დ. ცინცაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ბუნების მეგობრები

შუახევი (საკ. კორ.). აჭარის მაღალმთიან რაიონებში მოსულმა დიდმა თოვლმა ნადირ-ფრინველი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, ბევრი მათგანი ბარში ჩამორეკა.

სოფელ ზენდიდში ჩამოჭრილი შველი ძაღლებმა მიიმწყვდიეს. ნოდარ და ჯემალ ბეკახიძეებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ, ოთხ უმწეო ნადირი გადაერჩინათ. შველი თავისთან შეიფარეს და სათუთად უვლიან.

ეს ერთადერთი შემთხვევა როდია. ხულოს რაიონის მცხოვრებ ხერვიზ ძიქელაძეს არაერთი მგელი გადაუორნია. ბუნების ქომაგნი არიან აგრეთვე ბუახევის რაიონის მცხოვრებლები შუქრი, ალექსანდრე და სულიკო ზოიძეები.

□

„ქიგულის“ ახალი მოდელი

ვოლგის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა „ქიგულის“ ახალი მოდელი — ვაზ-2106.

ახალ ტოლიატურ მცირელიტრაჟიან ძანქანას მაშინვე გაარჩევთ თავისი გარეგნული ეხედულებით ვაზ-2103 მოდელისაგან. მას ლამაზად გაფორმებული რადიატორები და ფარები, უფეულო ბაძერები, სხვაგვარი ფოთოლი ფარნები და მოხვევის საჩვენებლები, უფრო მოხერხებული და კოხტა სალონი აქვს. გადიდებულია ძრავის სიმძლავრე და ამიტომ მანქანას სიჩქარე უფრო ძეტი აქვს.

(საკ. ინ.).

ტოლიატი.

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იდგა. რიონის ხეობაში წამში 15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი ქროდა, ტემპერატურა 13 საათისათვის დაბლობ რაიონებში 8-10, მთაში 3-5 გრადუსი სითბო აღინიშნა.

კახეთის ზოგიერთ რაიონში — სიღნაღში, წინანდალში, ყვარელში თოვდა, ქართლში უმეტესად უნალექო ამინდი იყო, ტემპერატურა კახეთის რაიონებში 13 საათისათვის იყო ხული — 3 გრადუსი ყინვა, ქართლში — 1-2 გრადუსი სითბო.

თბილისში უნალექო ამინდი იყო, ტემპერატურა 2 გრადუსი სითბო.

დღეს დასავლეთ საქართველოში ზმიანი ამინდია მოსალოდნელი, რაიონის ხეობაში იქროლებს წამში 12-18 სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 11-16, მთაში — 3-8 გრადუსი სითბო.

კახეთის ზოგიერთ რაიონში მცირე თოვლი და ნისლია მოსალოდნელი, ქართლში უმეტესად უნალექო ამინდი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 1-6 გრადუსი სითბო, მთაში 1-5 გრადუსი ყინვა.

ნერვული ბავშვი

სანამ გვიან არ არის

ეშვიათად როდი გვესმის შეფიქრიანებული მშობლებისაგან — ბავშვი ჯანსაღია, მაგრამ ჯიუტი, ჭირვეული, „ნერვულიაო“.

მაგრამ ეს სრულებთაც არ არის ერთი და იგივე — ნერვული არ ნიშნავს უბრალოდ ჭირვეულს. ნერვულ ბავშვს გაძლიერებული აგზნებადობა აქვს, რაც ხშირად უმიზეზოდ იცვლება დაღეჭვებულ, დათრგუნვილი მდგომარეობით, იგი სხვა ბავშვებზე უფრო მალე იღლება, ერთ ადგილას ვერ ისვენებს, უნარი არა აქვს დიდხანს დაუფიქრდეს დავალების შესრულებას, ეს კი ჩვეულებრივად იწვევს პედაგოგთა უკმაყოფილებას. ნერვული ბავშვები ძალიან მთაბეჭდილებიანი არიან, მოუსვენრად სძინავთ, შეშაფოთებელი სიზმრები, ცუდი მადა აქვთ, გული ერევათ, თავბრე ეხვევათ, გულის ძგერა მოსდით. ფერმკრთალობა, სისუსტე, სიგამხდრე, ჩალურჯებული თვალები, არაზუსტი, თანაც ჩქარი მოძრაობანი განასხვავებენ ასეთ ბავშვს ჯანსაღან, მაგრამ უბრალოდ ჭირვეულისაგან.

რისგან წარმოიშობა ადრეული ნერვულობა? ზოგჯერ არანორმალური ორსულობის, გართულებული მშობიარობის დროს ბავშვები გაძლიერებულად აგზნებადნი ჩნდებიან. შემდეგში ხელსაყრელ პირობებში შეიძლება მოხდეს ამ მდგომარეობის კომპენსირება და ბავშვი ჯანსაღად იზრდებოდეს. ხოლო თუ იგი ხშირად ავადმყოფობს, ცუდად ჭამს და ცუდად სძინავს, მალე იღლება, თანდაყოლილი გაღიზიანებადობა შეიძლება ავადმყოფობად გადაიზარდოს — მაშინ უკვე საჭიროა დაკვირვებული მკურნალობა.

ეშვიათი არ არის, რომ ბავშვი, რომელიც ჯანსაღი დაიბადა, ადვილად აგზნებადი ხდება მას შემდეგ თუ თავი დაარტყა რამეს. თუნდაც მსუბუქად, არც თუ სიმაშად. მაგრამ ასეთია ბავშვის ორგანიზმის თავისებურებანი: თუ კიდევაც ტკინის შეგვეკა, მისი ჩვეულებრივი ნიშნები— ცნობიერების დაკარგვა, თავის ძლიერი ტკივილი — შეიძლება არ მოხდეს. მაგრამ თუ ტრავმის შემდეგ მაშინვე წარმოიშვა ავადმყოფური მოვლენები, ტემპერატურამ აიწია, ბავშვს გულის რევა აუტყდა, მოუსვენარი გახდა, ხშირად ტირის, ნერვულია — მაშინ ექიმთან ვიზიტის გადადება არ შეიძლება. მკურნალობა ასეთ შემთხვევაში არასოდეს არ განისაზღვრება წამლების მიღებით; არანაკლები მნიშვნელობა აქვს დატვირთვის გონივრულად შეზღუდვას, ექიმის მიერ დადგენილი დამშოგავი რეჟიმის უსასტიკესად დაცვას. თუ ამ დროს უდიდესი ყურადღება არ მიექცა ტრავმირებული ნერვული სისტემის განმტკიცებას, დაწყებული დაავადების გამოვლინებანი შეიძლება განმტკიცდნენ, მძიმე გახდნენ, გამოიწვიონ ახალი, კიდევ უფრო ხერხიოული, ნერვული მომლილობანი.

ხოლო როგორ ხდება ცხოვრებაში? ბავშვი, რომელიც ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მომაგრებული, სკოლაში მიდის და თავისი ძალისათვის ჯერ კიდევ შეუფერებელი დამბავით ცდილობს ანაზღაუროს ის, რაც გამოტოვა, მაგრამ მთელი ეს ცდები სასურველ შედეგებს არ იძლევა, რაც ზიანს აკეთებს თავმოყვარეობას, ბავშვს უნდება მწარე ფიქრები შეუღლობის შესახებ, იმაზეც წყენა, ვინც თითქოს საკმაო ყურადღებას არ იჩენს ან მეტისმეტად მომთხოვნია მისდამი.

ზოგი მშობელი გადაჭარბებით აფასებს თავისი შვილების უნარსა და შესაძლებლობებს, მოითხოვს მათგან მხოლოდ ფრიად ნიშნებს, აიძულებს იმეცადინონ კიდევ მუსიკაში, უცხო ენებში, ამასთან ანგარიშს არ უწევს თვით ბავშვის სურვილებსა და მიდრეკილებებს. ერთადერთი გართობა, მეტისმეტი დატვირთვებისაგან „დასვენება“ ჩვეულებრივად ტელევიზორი ხდება. მაგრამ მეტისმეტი დატვირთვა ბორტოდან იხდის სამაგიერს, ხოლო ყველაზე ადვილად დასაზიანებელი უბანი ნერვული სისტემაა.

ბავშვთა ნერვულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიზეზია აღზრდის ხარვეზები, ცუდი მაგალითი ოჯახისა, სადაც უფროსებს შორის ურთიერთობა პატივისცემით არ არის გამსჭვალული, მოკლებულია სითბოს, ზოგჯერ უხეშია, ხოლო ბავშვთან დამოკიდებულება უკმეხი, ზედმეტად მომთხოვნია. ყოველივე ამას რომ ხედავს, პატარა ადამიანი დრმად განიცდის, ცხადი საბაბის უქონლად ხშირად ტირის, მისი ხიცოცხლე სიხარულს მოკლებული ხდება და წარმოიშობა ნაადრევი ნერვულობა!

უცნაურია, მაგრამ ნერვული ბავშვები იზრდებიან ისეთ ოჯახებშიც, სადაც მათ უქმნიან სტერილურ, ორანჟერიულ პირობებს.

ჩვენი ბავშვების ნერვულობის მიზეზთა ავით ჩამოთვლა გვარწმუნებს რომ ბევრ შემთხვევაში ის შეიძლება თავიდან ავაცილოთ. მე კი, როგორც ექიმი, კიდევ დავუმატებ: ავაშოროთ დროებითი ნერვული სისუსტის გადასვლაც ნამდვილ ავადმყოფობად. ამისათვის, რა თქმა უნდა, არ კმარა მარტო წამლები, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ატმოსფეროს გაუჯობესება, რომელშიც ბავშვი იზრდება და ვითარდება.

ე. ეკელოვა-ბაგალეი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
(სანიტარული განათლების ცენტრალური ინსტიტუტი).

მშობლებს ალზრდის შესახებ

ფეხბურთი

ორი „დინამოს“ მატჩი

გუშინწინ გაგრაში გამართა საგაზაფხულო ტურნირის მეორე მატჩი თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ შორის.

თამამი ქართველ ფეხბურთელთა უპირატესობით ძმდინარეობდა, რომლებმაც მოიგეს ასპარეზობა ანგარიშით 3:0 (2:0). ბურთები შეკარე. გონტარის კარში გაიტანეს ყიფიანმა, ძოძუაშვილმა და ქორიძემ.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გოგია, ხინჩაგაშვილი, ჭელიძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, დარასელია, ყიფიანი, ჩელებაძე.

თბილისის „დინამო“ ტურნირის უკანასკნელ მატჩში გაგრაში ან ლესელიძეში შეხვდება ქუთაისის „ტორპედოს“, ხოლო 21 მარტს თბილისში ამხანაგურ შეხვედრას გამართავს მოსკოვის „ტორპედოსთან“.

მძლეოსნობა

მეხუთე ტრადიციული

სსრ კავშირი — აშშ

ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და აშშ-ის ნაკრებთა მეხუთე ტრადიციული მატჩი. მასპინძლებმა დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს — 171:117 (ქალებმა — 75:53. კაცებმა — 96:64) და წინ გავიდნენ ხუთი შეხვედრის შემდეგ — 3:2.

მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა დახურული დარბაზებისათვის სპორტულ საარულში 5 კილომეტრზე ევგენი ევსიუკოვმა (რუსეთის ფედერაცია) — 20 წუთი და 21,8 წამი. ლენინგრადელი ნატალია ბონდარჩუკის შედეგი (9.05) 3 კილომეტრზე სირბილში — ევროპის ახალი რეკორდია.

ბირთვის კვრაში გაიმარჯვა ნადეჟდა ჩიჟოვამ — 20,56 (სეზონის მეორე შედეგია მსოფლიოში), სერგეი სენიუკოვმა (ჩერნოვცი) — სიმაღლეზე ხტომაში — 224 სმ, 60 მეტრზე რბენაში — ლიუდმილა სტოროჟკოვამ (ხარხოკი) — 7,37, ვაკეკში — ლენინგრადელმა ნიკოლოზ კოლესნიკოვმა — 6,67. 1500 მეტრიან დისტანციაზე უძლიერესი იყო ამერიკელი ჯენ მერილი (4.16).

ჩოგბურთი

წინ საპასუხო შეხვედრებია

9 მარტს გვიან საღამოს მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირისა და აშშ-ის ჩოგბურთელთა მატჩი „ლიტერატურნაია გაზეთას“ პრიზზე.

ამჯერად წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს, რომლებმაც მოიგეს სამი შეხვედრა ოთხიდან.

მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთან ბილი-ჯინ კინგთან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ოლღა მოროზოვა იგებდა ანგარიშით 5:2, მაგრამ კინგმა მაინც იმარჯვა — 7:5. თეიმურაზ კაკულიამ მწვავე ბრძოლაში დაამარცხა უიმბლდონის ჩემპიონი წყვილთა ასპარეზობაში ვიტას გერულაიტისი — 7:6, მაგრამ ალექსანდრე მეტრეველთან წყვილში წაავო ალეკს მაიერსა და გერულაიტისთან — 2:6. შერეულ წყვილთა (კინგ-მაიერსი და მოროზოვა-მეტრეველის) ასპარეზობა მოიგეს ამერიკელებმა— 7:5.

ამრიგად, სტუმრებმა გაიმარჯვეს ხუთ შეხვედრაში, მასპინძლებმა კი — ოთხში.

სსრ კავშირისა და აშშ-ის ჩოგბურთელები ახლა ამერიკის კორტებზე შეხვდებიან ერთმანეთს: 13 მარტს — ფილადელფიაში, 14-ში — კლივლენდში და 15-ში — ინდიანოპოლისში. ეს იქნება ამ ორი ქვეყნის ჩოგნის ოსტატთა ამხანაგური მატჩის მეორე ეტაპი.

ჭადრაკი

ლიდერის კვალდაკვალ

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში გრძელდება ქალთა ტრადიციული მე-12 საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც, როგორც ცნობილია, მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

აი რა გვიამბნ ნ. გაფრინდაშვილმა ტელეფონით:

— 8 მარტს ტურნირზე დასვენების დღე იყო, ამჭადრაკეები ქალაქის მოძრაობ მიგვიყო.

9 მარტს დილით გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. მე ზედმეტი პაიკი მქონდა გ. ივანიჩთან და გავიმარჯვე. საღამოს შვდგა მეოთხე ტური, რომელშიც შევხვედი საერთაშორისო ოსტატს, რუსეთელ მ. მურეშანს. თავიდანვე საკმაოდ კარგი პოზიცია მივიღე, მაგრამ ცაიტხოტში აღმოვჩნდი, წავაგე ფიგურა და 38-ე სვლაზე დავხეიდი.

მეტად საჭირო ქულა მოიპოვა ტურნირის ლიდერმა მ. ივანკამ (უნგრეთი), რომელმაც დაამარცხა იუგოსლავიელი ს. ბოშკოვიჩი. ივანკაა 4 შესაძლებელიდან 4 ქულა აქვს. მე 3 ქულით მეორე ადგილზე ვარ.

თხილამურები

13 წლის ჩემპიონები

ბაკურიანში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სამოთ-სათხილამურო სპორტში, რომელშიც კონკურსგარეშე გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები. კარგად იასპარეზა 13 წლის ბაკურიანელმა მოსწავლემ მარი კოზახაშვილმა, რომელმაც მოიგო გიგანტური (1.26,8) და სპეციალური სლალომი (1.39,1), ხოლო სწრაფდაშვებაში მეორე ადგილზე გამოვიდა. პირველობა აქ მისმა თანატოლმა და თანაგუნდელმა თ. გელაშვილმა დაისაკუთრა (1.29,0). ვაჟთა შორის გაიმარჯვეს გამოცდილმა სპორტსმენებმა დ. თვაურძა (სწრაფდაშვება — 1.16,6), ი. ნასყიდაშვილმა (გიგანტური სლალომი — 1.15,8) და ა. სტეფანიანმა (1.23,7).

გუნდურ ჩათვლაში გიმარჯვა ბორჯომის პირველმა კოლექტივმა, რომელიც ძირითადად ნორჩი ბაკურიანელი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მომდევნო ადგილზე გამოვიდა თბილისის პირველი ნაკრები.

მ. ზაქარიაძე.

მოკლედ

ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი კვლავინდებურად ლიდერობს სკოპლეს (იუგოსლავია) საერთაშორისო ტურნირს. რვა ტურის შემდეგ მას 7 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან ვოლფგანგ ულმანი (გდრ) — 6 ქულა (1), ჯეიმს ტარიანი (აშშ) — 6, იან ტიმანი (ჰოლანდია) — 5 (1).

ფეხბურთი. გუშინ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეში გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მატჩი. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 2:2. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს ბლოხინმა და ტროშკინმა.

ტელევიზია

11 მარტი

პირველი პროგრამიდან

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ლაპიკოვი“, 11.15 — მ. ახჩაროვი — სატელევიზიო მრავალსერიანი მოთხრობა „ერთ მიკრორაიონში“ თავი პირველი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — მოსწავლეთათვის რუსული ენა, 17.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ელექტროგამოძთვლელი მახეანა სოფლის მეურნეობის საქმესურში“. (ქართულ ენაზე), 18.35 — განცხადებები, 18.40 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 19.10 — საქმედ ვაქციოთ პარტიის დიადი პროგრამა, 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.10 — „ცხოვრების სოციალისტური წესი და ხალხის კეთილდღეობა“ გადაცემა პირველი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან). 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „მეცნიერების სადღეისო ამოცანები“ (გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ხარაძე), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური პანორამა“.

ოპერა

12 მარტი

პირველი პროგრამით

06.35 — გ. კილაძე — საბალეტო სუიტა „სიხალელ“, 06.50 — „სოფლის ღილა“, 08.32 — სიმფონიური მუსიკა, 09.25 — რუსული ალბომი, 09.45 — ო. თაქთაქიშვილი — საფორტეპიანო ციკლი „შობიერული სურათები“, 11.05 — არიები რუსული ოპერებიდან, 11.45 საუბარი — საქართველოს სახალხო მეურნეობა მეათე ხუთწლედში, 12.15 — ფ. შუბერტი — საფორტეპიანო პიესები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ი. აბაშიძის ლექსები, 12.30 — ფლორის ლ. გეგელია, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ —ანსამბლი — „75“, 17.40 — მოსწავლეთათვის — კ. პაუსტოვსკის მოთხრობები, 18.05 — ო. გორდელი — ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზე ბუტბუტებს მტკვარი“, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.45 ვ. აზარაშვილი — სიმღერები, 20.20 — პ. მასკანი — სცენა ოპერიდან „სოფლის პატარძალი“, 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძალისპირული“, 21.15 — „უკრავს საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კვარტეტი, 22.00 — „მწერალი მიკროფონთან“.

თეატრები

11 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „ეთერი“ (მე-9 აბონ. მე-5 წარმოდგენა); **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნათან ბრძენი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პატიოსანი; ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯარში მიდის დედისერთა.**

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

კომუნისტი 380098 თბილისი-98, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-92-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ვაჟის „ბოლოს“ ბოლო

ბაკურიანი (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურისტული ნაკრებმა, რომელიც ლენინგრადელებს ეწყო, ბოლო იყო სსრ კავშირის ხალხთა მეექვსე სპარტაკიადაში გამარჯვებული ქართველი ფალავნებისა, გაიმარჯვა პოლონეთის ქალაქ ბატომში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

შეჯიბრების ორი დღის განმავლობაში ჩვენმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს ხუთი გამარჯვება: ორორჯერ დაამარცხეს გდრ-ისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები., ხოლო საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრაში პირველი ორთაბრძოლა დამთეს, მეორეში კი წარმატებას მიაღწიეს.

გამარჯვებული გუნდი (ხელმძღვანელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე, მწვრთნელები ბ. ძახიაშვილი და ლ. კბილაშვილი) გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით (წონითი კატეგორიების მიხედვით): დ. კბილაშვილი, ა. ობგაიძე, ზ. კეთილაძე, დ. კოდანოვი, ა. ყიკლური, კ. მეუნარიშვილი, ა. მუზაევი, ტ. ხუციური, ჯ. ნიკურაძე და ვ. ბეღლეკი.

ბამის მშენებელთა სტენდი

ონი (საკ. კორ.). სორელ ახალგაზრდებს სისტემატური მომზადება აქვთ ბამის მშენებლებთან. ამ დღეებში სამუალო სკოლის შენობაში მოეწყო სტენდი, რომელზეც გამოფენილია მაგისტრალის ქართველი მშენებლების ფოტოსურათები, აგრეთვე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წარკვეევებისა და წერილების ციკლი. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის რუკა.

ამ ცოტა ხნის წინათ სორელმა პიონერებმა წერილი და მხატვრული ლიტერატურა გაუგზავნეს ნია-გრუზინსკაიას ახალგაზრდა მოქალაქეებს.

მომხმარებელთა დაკვეთით

მახარაძე (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ გახსნა დაკვეთების მიღებისა და გაცემის სამი კომპლექსური პუნქტი, რომლებიც დაკვეთებს იღებენ სხვადასხვა მოდელის ფე